| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

გაზეთი ღირს

ცალკე ნომერი—ერთი შაური.


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ზ. ჩიდჟეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი


ტფილისი, 19 ნოემბერი

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ამას წინად თითქმის ყველა დასები საფრანგეთში თხოულობდნენ გრევის გადადგომას სამსახურიდგან. ამ გარემოებას ისე იუწყებოდნენ, თითქო საბოლოვოდ გადაწყვეტილი და ეჭვს გარეშე იყო საპრეზიდენტო კრიზისი. მაგრამ უცბად და თითქმის სრულიად მოულოდნელად ქარმა სხვაფრივ დაჰბერა და დეპეშამ გვაცნობა, რომ რადიკალები, მოურიგებელნი და მემარჯვენეთა დასი თხოულობენ გრევის პრეზიდენტად დარჩენას, თუ რომ იმისი სიძე, ვილსონი, უარს განაცხადებს დეპუტატობაზედ. პარიჟში უმეტესად ეს აზრი ტრიალებს და კიდევაც შესაძლოა აღსრულდეს, მით უფრო, რომ თვით გრევი უარს იდგა სამსახურიდგან გადადგომაზე სხვა-და-სხვა პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო. გრევის აზრით, ამ ჟამად პრეზიდენტის სამსახურიდგან გადადგომა საზიანო იქნება რესპუბლიკისათვის, რადგანაც უამისოდაც გაძნელებულს მდგომარეობას საფრანგეთისას კიდევ უფრო გააძნელებს. გრევის პრეზიდენტობა თუ არ-პრეზიდენტობა, როგორც იწერებიან, იმაზეა დამოკიდებული, გადადგება თუ არა დეპუტატობიდგან ვილსონი საკუთარის ნებით, თუ გრევის ჩაგონებით.

რა არის ამის მიზეზი, რომ თითქმის ყველა დასებმა ისევ გრევისაკენ მიიბრუნეს პირი? ნუ თუ საფრანგეთში ისეთი არავინ არის, ვისაც შეუძლიან მოხუცის გრევის მაგიერობა? რასაკვირველია, საფრანგეთში მრავალი ნიჭიერი და მხნე რესპუბლიკელი მოიპოვება, მაგრამ საფრანგეთი ისეთს მდგომარეობაშია, რომ გრევი იმისათვის აუცილებლად საჭიროა, და აი, ამ აზრმა გაიმარჯვა დღეს საფრანგეთის შინაურ პოლიტიკის წარმომადგენელთა შორის. ამის მიზეზი გრევის პირადი ღირსებაც არის და იმისი სახელმწიფო მოღვაწეობის საზოგადო ხასიათიც.

უმთავრესი ღირსება გრევისა ის არის, რომ წმინდა და ნამდვილი რესპუბლიკელია და ჯერ-ჯერობით არავის, არც იმის მტერს, მოპირდაპირეს, ეჭვი არ აუღია გრევის გულ-წრფელობაზე; არავის არ შეუწამებია გრევისათვის რესპუბლიკისადმი ღალატი, თუმცა გრევის საკუთარის ნათესავობის წყალობით მრავალი უსიამოვნება შეემთხვია ამ უკანასკნელს ხანებში. გრევიმ კარგად იცის, რომ იგი მეთაურია, წინამძღოლია რესპუბლიკისა, რომლის უმთავრესი დანიშნულება ერის უფლებათა დაურღვეველობა და დაცვაა; ამ მთავარის აზრის შემადგენელი ნაწილი ის არის, რომ ყოველს დასს, ყოველს მიმართულებას, რა-კი იგი გულ-წრფელად და, თვისის აზრით, ქვეყნის საკეთილოდ მოქმედებს, ადგილი უნდა მიეცეს საპოლიტიკო სარბიელზე.

აი, ეს არის იმის მიზეზი, რომ თითქმის ყველა დასები ამ ჟამად იმ აზრისანი არიან, — გრევი აუცილებლად საჭიროა საფრანგეთისათვისაო. თვითოეულს დასს ესმის, რომ თუ გრევი პრეზიდენტად დარჩა, არც ერთს მათგანს ადგილი არ წაერთმევა საპოლიტიკო სარბიელზე, არც ერთს უფლებას ერისას განსაცდელი არ მოელის, ვიდრე სახელმწიფოს მეთაურად ისეთი კაცი იქნება, როგორიც გრევია. დასებს ესმის, რომ ქვეყნის წარსამატებლად საჭიროა ყოველს აზრს, მიმართულებას გზა მიეცეს, რათა თვისი ან ძალა, ან უძლურება დაამტკიცოს.

მეორე კარგი მხარეცა აქვს გრევის პრეზიდენტობას. მას აქედ, რაც გერმანიამ დასცა საფრანგეთი და დაამტკიცა ნაპოლეონის დროის წეს-წყობილების ყალბობა და უვარგისობა, მას აქედ, რაც საფრანგეთი შეუდგა საშინაო საქმეებსა და იძულებული იყო ევროპის პოლიტიკის მოთავეობისათვის თავი დაენებებინა, შემცირდა საფრანგეთის გავლენაც ევროპის საპოლიტიკო საქმეებზე. დედა-ბოძად ევროპის პოლიტიკისა შეიქმნა საფრანგეთის მაგიერ გერმანია, რომლის ძლიერებამ და მეთაურობამ დიდი, თავისებური კვალი დააჩნია ევროპას; საფრანგეთის ხმა საპოლიტიკო საქმეებში თითქმის უქმი შეიქმნა, იმას თითქმის არავინ ერიდებოდა, რადგანაც უძლურად სცნობდნენ. გავიდა დრო და ჟამი, საფრანგეთი მომჯობინდა და გაძლიერდა და მოწადინებულია, ისევ პირველი ადგილი დაიჭიროს ევროპის სახელმწიფოთა შორის. მონარქიის დაცემისა და საზოგადოდ საფრანგეთის ისტორიულის არა ერთ გზით მსვლელობის გამო სახელმწიფოები ეჭვით უყურებდნენ და კიდევაც უყურებენ საფრანგეთს; არავინ არ იცის, დღეს ვინ გაიმარჯვებს: რესპუბლიკა თუ მონარქია და ხვალ ვის ჩაუვარდება ხელში სახელმწიფო. აი, ეს გარემოება ხელს უშლიდა და კიდევაც უშლის საფრანგეთისა და სხვა რომლისამე სახელმწიფოს შეკავშირებას; თითქმის ყველანი იმ აზრისანი იყვნენ და არიან, რომ საფრანგეთთან კავშირი ხანგრძლივი და მტკიცე არ იქნებაო, რადგანაც იმ კავშირს, რომელსაც, მაგალითად, რესპუბლიკა დაიჭერს რომელსამე სახელმწიფოსთან, მონარქია, ან სხვა რომელიმე გამარჯვებული დასი უარ-ჰყოფსო და სხვა. მხოლოდ ამ თექვსმეტიოდე წლის განმავალობაში და მეტადრე გრევის პრეზიდენტობის დროს საფრანგეთის სახელმა და გავლენამ იმატა და თან-და-თან ძლიერდებოდა ის აზრი, რომ რესპუბლიკას საფრანგეთში ფესვი მაგრად აქვს გადგმული, ამიტომ მასთან საქმის დაჭერაც შეიძლებაო, და ეს ხომ გავლენის გაძლიერების ნიშანია. ამ გვარის აზრის გაძლიერება, სხვათა შორის, გრევის პრეზიდენტობას უნდა მიეწეროს, რადგანაც არც ერთს სახელმწიფოს ეჭვი არ ეუღია გრევიზე, ვითარცა რესპუბლიკელზე.

ამ გაჭირვებულს დროს გრევი რომ სამსახურიდგან გადადგეს, იმ სახიფათო საშინაო შემთხვევის გარდა, რომელიც, გრევის აზრით, მოსალოდნელია, უეჭველად საფრანგეთის მდგომარეობა გაჭირდებოდა გარეშე პოლიტიკაშიაც. სახელმწიფოებს ნდობა დაეკარგებოდათ რესპუბლიკისადმი და ეს ხომ საფრანგეთის დაქვევითების მიზეზი იქნებოდა.

ა. ხ—ი

# ფელეტონი

## ქმრის განაჩენი

(გუი დე-მოპასანისა)

სასაფლაო სავსე იყო აფიცრებითა და ყვავილების ბაღსა ჰგავნდა. აუარებელი კეპები და წითელი შალვრები, აპელატები და ოქროს ფერი ღილები, ბჭყვრიალა ხმლები, ექსელბანტები უმთავრესის შტაბისა, ჯარისკაცთა ბრწყინვალე მუნდირები მრავლად მოჩანდა სასაფლაოზე, საფლავებ შორის. აუარებელი ჯვრებიც, თუ რკინისა, თუ მარმარილოსი და თუ ხისა, კაცებსა ჰგავნდნენ და უიმისოდაც აჰრელებულს სურათს უფრო აჰრელებდნენ.

გარდაცვლილიყო ცოლი პოლკოვნიკის ლემუზენისა და იმას ასაფლავებდნენ.

ცერემონია გათავდა, სამღვდელოება დაიშალა, მაგრამ პოლკოვნიკი, რომელიც ორს აფიცერს ეჭირა, კვლავ საფლავთან იდგა და თვალ-წინ ედგა ხის კუბო, რომელიც საფლავში ჩაასვენეს. ამ კუბოში ასვენია ჩემის ახალგაზდა ცოლის გვამი, რომელიც შავმა მიწამ უნდა შეჭამოს და დამალოსო.

თითქმის მოხუცებული იყო, მაღალ-მაღალი, პირ-ხმელი და ულვაშები ძალზედ გათეთრებული ჰქონდა. სამის წლის წინად შეირთო ობოლი, უპატრონო ქალი, რომელიც იყო ასული მისივე ამხანაგისა, პოლკოვნიკის სორტისა.

კაპიტანი და ლეიტენანტი, რომელნიც გვერდით უდგნენ პოლკოვნიკს, სცდილობდნენ წამოეყვანათ შინ, მაგრამ პოლკოვნიკი უარზე იდგა; თვალებში ცრემლები ჰქონდა მორეული და სცდილობდა, რომ ქვითინი არ დაეწყო. „არა, არა, პატარა ხანს კიდევ დამაცადეთო“, მწუხარებით ლუღლუღებდა მოხუცი და თითქმის მუხლმოდრეკილი იდგა საფლავთან. ეს საფლავი უფსკრული ეგონა და ჰფიქრობდა, რომ იქ ჩამიმარხეს ჩემი გული, ჩემი სიცოცხლე და ყოველივე, რაც ერთად-ერთი ჩემი ნუგეში იყო ამ ქვეყნადაო.

უცბად მოვიდა გენერალი ორმონი, წაავლო ხელი პოლკოვნიკს და თითქმის ძალათი წამოიყვანა სახლში.

— წავიდეთ, წავიდეთ, ჩემო ძვირფასო მეგობარო; არა, აქ რაღა დაგვრჩენიაო!

პოლკოვნიკმა დაუჯერა თავის მეგობარს და წამოვიდა სახლში.

როცა შევიდა თავის ოთახში, სტოლზე წერილი დაინახა. აიღო ეს წერილი და ისე განცვიფრდა და აღელდა, რომ კინაღამ მეტის-მეტის აღელვებისაგან ძირს არ დაეცა: წერილი იმის ცოლის ხელით იყო ნაწერი. ფოსტის ბეჭედი წერილზედ იმ დღის თარიღით იყო დანიშნული. გახსნა კონვერტი და დაიწყო კითხვა:

**

„ჩემო მამა-ბატონო!

„ნება მიბოძეთ, ეს სახელი გიწოდოთ წინანდებურად. როცა თქვენ ამ წერილს მიიღებთ, მე მკვდარი ვიქნები კიდეცა და დასაფლავებულიცა. იქნება მაშინ მაინც შემინდოთ და მომიტევოთ.

„მე არ მინდა თავი შეგაბრალოთ, არც ის მინდა, რომ თავი ვიმართლო. ვიტყვი მხოლოდ ნამდვილს, სრულს სიმართლეს იმ გულ-წრფელობით, რომელიც-კი შეუძლიან გამოიჩინოს სასიკვდილოდ გამზადებულს ადამიანს.

„როცა თქვენ შემირთეთ დიდ-სულოვნობის მიზეზით, მეც გამოგყევით ცოლად, რომ სამაგიერო მადლობა გადამეხადნა და უმადურობა არ გამომეჩინა. გამოგყევით დამიყვარდით სულითა და გულით, ისე, როგორც შეუძლიან სიყვარული გამოუცდელს ყმაწვილს ქალს. მიყვარდით თითქმის მამასავით და ერთხელ, როცა თქვენ წინ ვიყავ დაჩოქილი, უნებურად «მამობით» გახსენეთ. თქვენ გაიცინეთ და მითხარით: „არა უშავს, რა, „მამობილი“ მელაპარაკე შემდეგაც: ჩემთვის სასიამოვნოც არის ეგ, ჩემო კარგოვო“.

„ჩვენ დავბინავდით ამ ქალაქში და... მომიტევეთ მამავ... მე სხვა შემიყვარდა. ღმერთო, რა დიდხანს ვმაგრობდი—თითქმის ორი წელიწადი ვეურჩე ჩემს გრძნობას, მაგრამ ბოლოს შევცდი, დავაშავე თქვენს წინაშე და უბედური დედაკაცი შევიქენი.

„ვინ არის ის?—ამას თქვენ ვერ შეიტყობთ. მე მუდამ გარს მეხვია ათი და თორმეტი აფიცერი, რომელთაც თქვენ ჩემს ამალას ეძახდით.

„მამავ, ნუ ეცდებით გაიგოთ, ვინ არის ის, ნუ შეიძაგებთ. ის ისე მოიქცა, როგორც მოიქცეოდა ყველა, ვინც-კი იმის ალაგას იქნებოდა; გულ-წრფელად და გატაცებით ვუყვარდი მე იმას.

„ერთხელ ჩვენ ერთმანერთს უნდა შევხვედროდით ბეკასის პატარა კუნძულზე,—ხომ იცით ის ადგილი, წისქვილს იქით რომ არის. მე უნდა წყალში ცურვით გავსულიყავ და იმას იქ უნდა ელოდნა ჩემთვის ბუჩქებში. ისის იყო გაველი ნაპირას, და ამ დროსკი შევნიშნეთ ჩვენ ბუჩქებში თქვენი მოსამსახურე ფილიპე, რომელიც ჩვენ თურმე გვითვალთვალებდა. ვსთქვი, ეს არის დავიღუპეთ-მეთქი და ხმა-მაღლა დავიყვირე. მაშინ ჩემმა სატრფომ მითხრა: „ნუ შფოთავ, ჩემო ძვირფასო, გადი უკანვე წყალში და მე მარტო დამტოვე ამ კაცთანაო“.

„მე შევედი წყალში, მაგრამ შიშისა და აღელვების გამო კინაღამ დავირჩე. მით უფრო მეტად ვშიშობდი, რომ მეშინოდა უბედურება არა დატრიალებულიყო-რა.

„ერთის საათის უკან ფილიპე მოვიდა ჩემთან და მითხრა ჩუმად: „მე მზადა ვარ გემსახუროთ, ქალბატონო, თუ ისურვებთ და წერილს მიბოძებთ თქვენ მეგობართანაო“. მე აზრი ავიღე, რომ ფილიპე შესყიდულია და ორგული გამხდარა-მეთქი.

„მეც ვაძლევდი ფილიპეს ჩემს წერილებს, ყველა ჩემს წერილებს. ჩვენც ისევე ვენდობოდით იმას, როგორც თქვენ იყავით მინდობილი.

„მაგრამ აი რა მოხდა შემდეგ, ბატონო. ერთხელ, როცა გაველი ცურვით იმავე კუნძულზე, იქ დამხვდა მარტო თქვენი მოსამსახურე. მისვლის უმალვე გამომიცხადა, რომ ყველა შენს წერილებს შენს ქმარს გადავცემ, თუ ჩემს სურვილს არ შეასრულებო.

„ოჰ, ბატონო, მე საშინლად შემეშინდა და კანკალი დამაწყებინა; ვშიშობდი მეც და მეშინოდა იმის გამოც, ვინც მე მიყვარდა: თქვენ შეგეძლოთ მოგეკლათ ისა! ჩვენ, დედაკაცნი, ისე სუსტნი ვართ, რომ უფრო მალე ვკარგავთ თავ-გზას, ვიდრე თქვენ, მამაკაცნი. ამას გარდა, რაკი ერთხელ შესცოდავს ადამიანი, თავს ველარ იმაგრებს და უფრო და უფრო ხშირადა სცოდავს. მე აღარა მესმოდა-რა, აღარა ვგრძნობდი, რას ჩავდიოდი. მე მხოლოდ იმასა ვფიქრობდი, რომ საიდუმლოს გამჟღავნებას მოჰყვებოდა სიკვდილი სამში ერთ-ერთისა და ამიტომ დავნებდი იმ საზიზღარს კაცს. ცოდვით ცოდვა უნდა წამეშალა, მაგრამ ნამუსმა აღარ მომისვენა.

„ხომ ჰხედავთ, ბატონო, რომ მე არა ვცდილობ, თავი გავიმართლო.

## სიტყვა
### ალექსანდრე ეპისკოპოზისა

(თქმული სიონის სობორში, 18 ნოემბერს, როდესაც მობძანდა ახალი ეგზარხოსი საქართველოისა, პალლადი)

თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ!

ღვთის განგებამ მოგანიჭათ თქვენ მწყემსთ-მთავრის ადგილი საქართველოში. თქვენც დაანებეთ თავი თქვენს სამშობლო რუსეთსა და მშვიდობიანად მობრძანდით საქართველოში. და აი შუა-გულ საქართველოში, სამეუფეო ტფილისის ქალაქსა შინა, სიონის საკათედრო ტაძარში მოგეგებებით მხიარულებით და გიძღვნით სალამს, ცერძოდ მეც და სამღვდელოების სახელითაც. მოგილოცავთ, რომ მშვიდობით მობრძანდით და ვისურვებთ თქვენთვის ყოველს სიკეთეს და კარგად ყოფნას საქართველოს ახალს კათედრაზე.

საქართველოს ახალო მწყემსთ-მთავარო! თქვენი კეთილი გული, თქვენი განათლებული, წარმატებული გონება, თქვენი გამოცდილება და თქვენი სიმშვიდე და თავ-დაბლობა საუკეთესო თავ-მდებია და თამასუქი ჩვენთვის, რომ თქვენ მიერ მართვა საქართველოს ეპარქიისა იქმნება მშვიდობიანი, საცეთილო და ნაყოფიერი.

თქვენო მეუფებავ! საქართველოს ეპარქია და საზოგადოდ საქართველო, ეხლანდელი თქვენი სამწყსო, განათლდა პირველად ქრისტეს ნათელითა მოციქულის ანდრია პირველწოდებულისა და სიმონ კანანელისა და სხვათა მოძღვრების მეოხებით. შემდეგ, მეოთხე საუკუნის დამდეგს, წმ. მოციქულთა-სწორმა ნინამ სამუდამოდ მოჰფინა ნათელი ახალის აღთქმის მოძღვრებისა, ხოლო მეხუთე საუკუნეში გავრცელდა და დამკვიდრდა სარწმუნოება ქრისტესი საქართველოს ყველა მხარეში ათცამეტთა ასურელთა მამათა მოღვაწეობითა. და აი, ეს ძველთა-ძველი ქვეყანა, პირველ საუკუნოების დროსვე ნათელღებული და სახარების ქადაგებით გაბრწყინვალებული, ბევრს სიკეთეს ელის თქვენგან, თქვენო მეუფებავ. ქვეყანა კასპის ზღვასა და შავს ზღვას შუა მდებარე, აგრეთვე დიდი მთები კავკასიისა კასპის ზღვიდამ ანაპა და ნოვოროსიისკამდე—მთელი ეს სივრცე მისის მცხოვრებლებითურთ არის ის დიდი ასპარეზი, რომელსაც უნდა მოეფინოს მადლი თქვენის მწყემსთ-მთავრულის მოღვაწეობისა. ყოვლად შემძლებელს ღმერთსა ვსთხოვ, არ მოგაკლოთ ძალი და ღონე, რათა მშვიდობითა და სიყვარულით განაგოთ ღვთის მიერ მონიჭებული სამწყსო თქვენი სადიდებლადვე ღვთისა ჩვენისა.

ალექსანდრე ეპისკოპოსი გორისა, ვიკარი საქართველოსი.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ-ნ ნ. ხიზანაშვილს შეუკრებია ხევსურული ლექსები და გარდაუცია ბ-ნ ჩარკვიანისათვის, რომელიც აპირობს თავის ხარჯით დაბეჭდოს და გამოსცეს ცალკე წიგნად.

*** საძაგელი რამ სანახავია ავლაბრის ბაკები, სადაც მრავალი სოფლის ხალხი დაიჭერს ხოლმე ოთახებსა, მანამ ტფილისში თავის საქმეებს გაირიგებს. ეს ბაკები თითქმის ყველანი ერთმანერთსა ჰგვანან და ყველგან ერთი და იგივე სურათი წარმოგიდგებათ. ბაკებს ირგვლივ არტყია პატარ-პატარა ოთახები. თითო ოთახს ექნება ასე ორ არშინ ნახევარი სიგანე და სამი არშინი სიგძე. ამ ოთახების ქვეშ ან გვერდზე გამართულია საქონლის დასაბმელი ბაგები. ღამე ანათებენ ოთახებს ღორის ქონის ჭრაქებით და პატარ-პატარა უშუშო ლამპრებით. ეს ახირებული იარაღი სინათისა ნახევარ საათზე ისე ჰმურავს ადამიანსა, რომ ბუხრის მწმენდავი გეგონებათ. ამ სისაძაგლის გარდა როგორც ოთახები, აგრეთვე ბაგები კვირით კვირამდე დაუგველია ხოლმე, და თუ ელირსებათ დაგვა და დახვეტა, ნაგავს არ გადაჰყრიან, სანამ იმდენი არ მოგროვდება, რომ მთა ამ ნაგვისა ეზოს ამნელებდეს, თუმცა უამისოდაც ეზოები ერთობ ბინძურ სანახავს წარმოადგენს. უადგილობისა გამო, მდგმურები იქვე ეზოშიასრულებენ თავიანთ საჭიროებასა და ამის გამო უწმაწურობა, საქონლის ფეინთან ერთად არეული და გათქვეფილი, გულს შეუღონებს ადამიანსა. ამ საზიზღარ ბაკებში ვაჭრობენ აუცილებელი მიკიტნები და აგრეთვე მეხაშენი, რომელნიც თავის მხრივ უმატებენ ეზოებს უსუფთაობასა. ამათ პოლიცია ნებას არ აძლევს ნარეცხისა და ნაგავის ქუჩაში გადაყრისას და ეს პატიოსანი ვაჭრები დუქნის სიბილწეს ეზოში ჰყრიან.

აი ცოტაოდნად დაახლოვებული სურათი იმ სადგომებისა, სადაც თითეში ათასობით სოფლელი კაცი ატარებს დღე-ღამეს და იხდის ქირასა. ხარჯი თითქმის არა აქვს-რა მებაკესა და შემოსავალი-კი ძალიან კარგი აქვს. ქალაქის მხრივ დიდი ყურადღებაა საჭირო, რომ ეს გახრწნილი ადგილები ცოტაოდნად მაინც გასუფთავდეს.

*** ხაზინამ სთხოვა ტფილისის ქალაქის საბჭოს, ოთხი დაითმო სავაჭრო ბლეთების ასაღებად მომავალ 1888 წლისა. ქალაქმა დაუთმო და ეხლა ვაგზლის სადგურში მოდის ვაჭარი ხალხი და ჰყიდულობს პატენტებსა.

*** საკვირაო სკოლის ქართულ განყოფილების გამგე ქალი გვთხოვს იმისი მადლობა გამოუცხადოთ «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას», რომელმაც შესწირა სკოლას ქართული წიგნები, და ბ-ნ ა. პოლტარაცკის, რომელმაც ერთი თუმანი ფული შესწირა ამავე სკოლასა.

*** ჩვენს გაზეთში არა ერთხელ ყოფილა დაბეჭდილი საჩივარი რკინის გზაზე: ხშირად ისე გაივსება მგზავრებით ვაგონებიო, რომ არა თუ დასაჯდომი ალაგი აღარ არის ხოლმე, გაველაც-კი უჭირს კაცსა და ვაგონებს-კი არ უმატებენ. ამაზედ არავინ არ იბერტყავს ყურს. ამას წინადაც, 17 ნოემბერს, ისე იყო სავსე ბათუმიდგან მომავალი მატარებელი, რომ არა თუ დასაჯდომ-დასადგომი ალაგიც-კი აღარ იყო, ვაგონების მოაჯრები და სკამებსა და სკამებს შუა სავსე იყო ფეხზე მდგომ მგზავრებით და გავლა სრულებით არ შეიძლებოდა. ამის გამო კასპიდამ ტფილისამდე ორჯელ მოხდა ჩხუბი მგზავრებს შორის, ერთი კასპში და ერთიც მცხეთაში. მიზეზი ჩხუბისა ის იყო, რომ ბარგის გატანა ვერ მოახერხეს ხალხის სიმრავლისა გამო.

*** ბათუმში ხმა დადის, რომ ერთ დეპუტატთაგანს, რომელსაც სხვებთან ერთად ჰბრალდება ქალაქის ფულის გაფლანგვა, ქალაქის მოურავად ნიშნავენო. ძალიან საფუძვლიანად არის ბათუმის საზოგადოება აღელვებული ამ ამბის გამო. უეჭველია, ეს გავრცელებული ხმა ტყუილი უნდა იყოს. სანამ მართლ-მსაჯულება არ გაასამართლებს ბ-ნს დეპუტატს, მომავალს მოურავს ქალაქისას, მანამ ყოველთვის ეჭვში იქნება ხალხი ამ გვარის კაცის ზნეობრივს ავკარგიანობაში.

ბათუმის დეპუტატების საქმე, როგორც სჩანს, სულ სხვა ფერს და მიმართულებას მიიღებს, რადგანაც ერთ დეპუტატთაგანს, რომელიც დაპატიმრებულია, პირ-ბადე აუხდია და ყველაფერს აშკარად ლაპარაკობს, თუ როგორ და რა წესით იფლანგებოდა ქალაქის საკუთრება. თუ გამოძიებამ ამ ახალ გზას არ გადუხვია, მაშინ სხვა ბობოლეებიც ნახავენ საპატიმროს. რევიზია უეჭველია ყურადღებას მიაქცევს შემდეგს გარემოებასაც: ნაწილი ბათუმისა, ესრედ წოდებული თათრის ბაზარი, სულ ერთიანად გარდაიწვა წარსულ წლებში. აქ ეხლა სულ ახალ გეგმაზე აშენდა დუქანბაზარი. ამ ნაწილის დუქნების და სახლების „ემლაქის“ ფული, სახლის გარდასახადი, სულ მთლად აღებული ჰქონიათ. როგორც ამბობენ ბოროტი ენები, ეს ფული ისე ნანაჯღოგიანად თურმე დახარჯულა, რომ არც კვალი, არც ნავალი არა სჩანს, და ფული-კი ბლომად ყოფილა აღებული. ამ გვარს მდგომარეობაშია ჯერ ბათუმის დეპუტატთა საქმე.

*** იქიდამვე: ბათუმის ქართველთა სცენის მოყვარეთ ეს ორჯელ გამართეს წარმოდგენა. პირველად ითამაშეს 29 ოქტომბერს «რაც გინახავს, ველარ ნახავ», აქედგან სრული შემოსავალი 185 მანეთი და ათი კაპეიკი „ქართველთა შორის წერა-

---

„მოხდა ის, რაც წინადვე ადვილი მოსალოდნელი იყო. მე ვეკუთვნოდი ფილიპეს ყოველთვის, როცა-კი დამიწყებდა ხოლმე მუქარას. ნუ თუ ეს საზიზღარი არ არის? რა სასჯელის ღირსია ესა, ბატონო?

„მე თვით გადავსწყვიტე, რა სასჯელის ღირსიც არის ასეთი დანაშაულობა. ეს სასჯელი ის არის, რომ უნდა მოვკვდე. ვიდრე ცოცხალი ვარ, ვერ გამოვტყდები და ვერ ვაღიარებ ჩემს დანაშაულს. რა-კი ვკვდები, იმიტომ ვბედავ და ვამბობ ყველაფერს. მეტად ცოდვილი ვარ, ველარაფერი ვერ ჩამომრეცხავს ამ სირცხვილს, აღარც მე შემიძლიან მიყვარდეს ვინმე და აღარც ის შეიძლება, რომ მე ვუყვარდე ვისმე. ჩემის სიცოცხლით წავბილწავ და მოვუშხამავ მხოლოდ ქვეყანას. ერთი-ღა დამრჩენია, რომ თავი მოვიკლა.

„ეხლავ საბანაოდ მივდივარ და აღარ დავბრუნდები იქიდამ.

„ამ წერილს ჯერ ჩემი სატრფო მიიღებს. მიიღებს მაშინ, როცა მე უკვე მკვდარი ვიქნები. არ ეცოდინება შიგ რა სწერია და, რასაკვირველია, შეასრულებს ჩემს უკანასკნელს სურვილს.

„მშვიდობით, მამა-ბატონო, ამის მეტი სათქმელი აღარა მაქვს-რა. ის მოიქმედეთ, რაც გნებოთ, ოღონდ შემინდეთ-კი“.

პოლკოვნიკმა მოიწმინდა შუბლზე დაყრილი ოფლი. ის გულ-გაუტეხელობა, რომელსაც ომის დროს იჩენდა ხოლმე, კვლავ დაუბრუნდა ამ ჟამად.

პოლკოვნიკმა ზარს წამოავლო ხელი და დარეკა.

შემოვიდა მოსამსახურე.

— დამიძახეთ ფილიპესა.

სთქვა ესა და გამოსწია სტოლის უჯრას. დაუყოვნებლივ შემოვიდა ფილიპე, დიდის ტანის ჯარის-კაცი, რომელსაც ქერა ულვაშები ჰქონდა და თვალები ბოროტებით უბრწყინავდა.

პოლკოვნიკმა შეხედა პირდაპირ თვალებში.

— შენ უნდა მითხრა, ვინ იყო საყვარელი ჩემის ცოლისა.

— ბატონო პოლკოვნიკო...

პოლკოვნიკმა გამოიღო რევოლვერი უჯრიდამ.

— ჰა, ჩქარა! ხომ იცი, რომ მე ხუმრობა არ მიყვარს.

— თუ აგრეა... ბატონო პოლკოვნიკო... კაპიტანი სენტ-ალბერი გახლდათ.

ამოსთქვა თუ არა ფილიპემ ეს სახელი, რევოლვერმა დაიჭექა და ჯარის-კაცი დაეცა ძირს ტყვიით თავგახვრეტილი.

გრ. ყ—ძე

---

### იცანი იგინი

კარავსა შენსა ხდომისაგან ენათასა.

(შემდეგი *)

მართლა რომ საკვირველი და მიუწდომელი დარჩებოდა ჩვენთვის და ვინ იცის, ეგებ მომავალთა ჩვენთათვისაც „ესე საკვირველება“, რომ ერთს ჟურნალ „ივერიის“ თანამშრომელს არ აეხადა პირბადე ამ საუდუმლოსაგან და არ გამოეაშკარავებინა საქვეყნოდ, თუ რომლის წყაროებითგან მოგვართმევენ ხოლმე ჩვენი „ახალ მოდის“ ისტორიკოსები ესეთს ტკბილს სამეცნიერო სასმელს. აი საქმე როგორ მოხდა. რომელს საუკუნეში, რომელს წელში, კარგად არ მახსოვს, გაჩნდა ქვეყანაზე წიგნი, რომელსაც სახელად ერქვა: „საქართველოს მოკლე ისტორია“ და სხ. ვინც კარგად დაკვირდებოდა წიგნს, მაშინვე მიხვდებოდა, რომ ავტორმა თუმცა „მოკლედ“ უწოდა თვისს შრომას, გარნა გულში-კი სულ სხვა ჰაზრი ჰქონიყო და ეს „სხვა ჰაზრი“ თვისი მზესავით ნათლად გამოსჭვიროდა წინასიტყვაობაში, სადაც ავტორი ამცნებდა ქვეყანას და ერსა ჩვენსა, „რომელ დიდითა შრომითა და რუდუნებითა, ღამის ტეხითა და ყოვლისა სახიობისა მოკლებითა ხელი მივჰყავო ამ საქმეს, „არა ვეცო რული თვალთა და არცა განსვენება ხორცთა“, ვინემ არ შევასრულე საქმე ესე; შევკრიბე განბნეულნი გუჯარნი, სიგელნი, ხელთ-ნაწერნი წიგნი, წარწერანი ეკკლესიათა ზედა და ქვათა და ხატთა, გამოვიძიე ველნი და ხევნი, მთანი და ბორცვნიო, არა დავტოვეო, რასაც მიუწვდებოდა გონება და დაინახებოდა თვალითაო და აჰა, ამდენის ხნის შრომის ნაყოფი აწ თქვენთვის მიძღვნია, იხარებდეთ და იშვებდეთ ამიერითგანო“. რასაკვირველია, როგორც ძველთაგან მიღებულია, ავტორმა აღიარა ამასთან, რომ „ცოტა რამ მაინც აკლია“ ჩემს ისტორიას, რადგან „ყოველივე ქვეყნიერი ნაკლულევან არსო, მხოლოდ ერთი-ღა ღმერთი არსო უნაკლულოდ და ყოვლით-ურთ სრული“; ვინც წაიკითხვიდეთ, მომიხსენებდეთ „სახელით ოდენ“ მონასა უფლისასა, ხოლო თვით საქმით ცოდვილსა და გლახაკსაო... და ძეთა ჩემთაცაო და ვინც ამ ჩემს შრომას გარდასწერდეთ, წინასიტყვაობაცა ჩემი ჩაურთეთო, „რათა არა აღიფხვრას ხსოვნაცა ჩემი უკუნისამდე!“ და სხ. მომიტევეთ, თუ ცოტაოდენ შეცვლილად გარდმოგეცით შინაარსი იმ წინასიტყვაობისა, გარწმუნებთ-კი, რომ დედა-აზრი არ შემიცვლია იოტისოდენცა. სამწუხაროდ თვით ის წიგნი ხელთ არა მაქვს ეხლა.

მოხსენებულმა „ივერიის“ თანამშრომელმა, რა წაიკითხა ავტორის სახელი, მერე ეს რიხიანი „წინასიტყვაობა“ და შემდეგ შინაარსი, პირველად მხრები აიწია და ტუჩები შეკუმშა განკვირვებისაგან, მერე „ეჭვი მიიტანა“ და უკანასკნელ „გულის ხმა ჰყო“, რომ აქ სწორედ რაღაც „თვალთ-მაქცობა“ უნდა იმალებოდესო. იფიქრა, იფიქრა, მერე წაიკითხა, ისევ იფიქრა, ისევ გადაათვალიერა „ისტორია“, ისევ ფიქრს მიეცა და რაღაც ჰაზრმა თავში გაუელვა: „თითქო რაღაც ნაცნობი სუნი უდისო“ წიგნსა, «მკვდრის» სუნიო... ფიქრმა დაჰლალა თურმე საწყალობელი, დაწვა და დაიძინა და აჰა, ძილში გამოუჩნდენ მას ჩვენებით აჩრდილნი განსვენებულთა: თავადის ბარათაშვილისა და გოლოვინისა. ორთავემ შესჩივლეს საწყალობელად: ერთი-ღა სახსენებელი დაგვრჩენიაო დედამიწაზე — ჩვენი ნაწერები საქართველოს ისტორიისა და ეხლა ეს სახსოვარიც ამადა-ამ ადამიანმა „ახალ მოდურად“ მოგვტაცაო, თავისკენ გადაიდო ჩვენი ნაჭირნახულევი... გვიშველე, გამოგკიდე ჩვენს მტერსაო, დააგდებინე მონატაცი და ჩვენი ჩვენვე დაგვიბრუნეო, თორემ ცხადადაც მოგევლინებითო, თქვენ ცოლ-შვილს გულს გაუხეთქავთო და „ოკრუჟნი სუდში“ საჩივარს შევიტანთო და მაშინ, ენახოთ, მეტეხის ციხეში თავს ვინ ამოჰყოფსო... შეწუხდა და შეძრწუნდა თურმე საწყალი იგი „ივერიის“ თანამშრომელი და „შიში დიდი დაეცა მას ზედა“. რა ექნაო, მეგობარო-„ჯან“, შემომჩივლა გაფითრებულმან, მირჩიე გეთაყვანე, როგორ გადურჩე ამ ჭირსაო: მკვდრებს რომ არ გავეუგონო—ვაჲ თუ საფლავში ჩამითრიონო და ცოცხალს რომ ხელი ვახლო, ვაჲ თუ განძვინებულმა მან ავქსონმა მკვდართა თანა წარმგზავნოსო... უბედურო თავო ჩემო, საწყალობელო თავო, რა დროს შევესწარ!.. ძლივს დავამშვიდე ჩემი მეგობარი და დავარწმუნე, რომ «მკვდრებსა პატივი ჰმართებს-მეთქი», პატიოსნებაც მოგიწვევს შენ მათდა დახაცველად და თვით უფალი გვიბრძანებს დადებად თავისა თვისისა სიმართლისათვის და ჭეშმარიტებისა და თუ, ვინ იცის, დევნა და სიკვდილიცა მოგაგოს შენ „ცხოველმან“ მან მკვდართა შეურაცხ-მყოფელმან, ნეტარ ხარ შენ, რამეთუ უხრწნელი გვირგვინი წამე-

* იხ. „ივერია“ № 241.

კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სკოლას შესწირეს. მეორედ, 14 ნოემბერს, ითამაშეს «ძუნწი» და «ძალად ექიმი». მეორე წარმოდგენამ ძალიან ცუდად ჩაიარა, რადგანაც როლები შესაფერად არ იყო განაწილებული. სიცილით მოკვდებოდა კაცი, რო დაენახა ბათუმის სცენაზე „ძუნწი“! შემოსავალმა ამ წარმოდგენიდგან ხარჯიც ვერ დაჰფარა. სამწუხაროა, სწორე მოგახსენოთ, როცა სცენის მოყვარულნი ასე უთავდარიგოდ გამოვლენ ხოლმე სცენაზე. ხალხი ასიამოვნა ბ-ნ ცხაკაიას და ქალბ. ტახტაჯიანის ლეკურმა; მშვენივრად ითამაშეს. სამშაბათიდგან ბ-ნი ფორკატტი დაიწყებს აქ წარმოდგენებს.

ბათუმში ჩამოვიდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს განყოფილება, რომელიც არჩევს ადგილობრივ საქმეებსა.

⁂ გურია: აქეთკენ ეს მეხუთე წელიწადია ქურდობა ნაკლები იყო, მაგრამ ეხლა-კი ხელ-ახლად გახშირდა: ზოგან დუქანსა სტეხენ, ზოგან სახლებს. ცხენის, ხარის და სხვა შინაურ ცხოველების მოპარვა-კი ეხლაც ნაკლებია. მიზეზი ის გახლავთ, რომ უმოწმობოდ ველარ ასაღებენ საქონელსა. მაგრამ აქაც ხერხსა ხმარობენ. ზოგიერთა გაიძვერაები დააჭერინებენ ახლო-მახლო საბალახოში უპატრონო ცხენებს, შეადგამენ უნაგირს და დააჭენებენ უწყალოდ საწყალ პირუტყვს თხუთმეტის დღის განმავლობაში მაინც და ზოგჯერ მეტსაც. მერე წარუდგენენ მამასახლისს. რამდენსამე ხანს ისიც ჰხედნის ცხენსა და, როცა კარგა გააძრობენ ტყავს, პოლიციას წარუდგენენ. საწყალ კაცს-კი თავისი საქონელი საბალახოზე ჰგონია. წავა სანახავად და რომ ველარ ჰნახავს, ეძებს, ეძებს და მერე ასწავლიან—ამა და-ამ კაცსა ჰყავს შენი ცხენიო. მიდის ცხენის წამოსაყვანად, მაგრამ იქ ეუბნებიან: ჯერ წადი, მოწმობა მოიტანე, ნამდვილად შენ გეკუთნის თუ არაო, და კიდევ ერთი თთვეა შენს ცხენს ვინახავ, დღეში ორ-ორი აბაზი წარმომიდგინეო. ვთქვათ, პატრონმა მოწმობა იშოვნა, მაგრამ ეს ორ-ორი აბაზი საიდამ ამოიღოს.

ეს უსამართლობა ქურდობაზე უარესია და დიდს ყურადღებასაც ითხოვს, ვისგანაც ჯერ არის.

⁂ იქიდგანვე: გურიაში წელს ნამუშევარი ბლომად მოვიდა. გვეგონა იმდენის გოლვის გამო მთლად დამშევდებოდა გურია, მაგრამ ის-კი არა სამი-ოთხი წელიწადია რაც ასეთი მოსავალი არა ყოფილა. აქა-იქა სოფლებში მაღალი ხის ღვინო „ჩხავერი“ დააყენეს და იზაბელას ღვინოც ხომ ძრიელ ბევრი მოვიდა. ნამუშევარის აღება დაუგვიანდათ ოქტომბრის წვიმებისა გამო.

⁂ ქალაქის საბჭოს სხდომაზედ ამ ახლო ხანში უნდა განხილულ იქმნას, გაზ. „Кавказъ“-ის სიტყვით, მეტად საყურადღებო საქმე იმის შესახებ, რომ ქალაქის წყლის გამყვანი მილი გარდაეცეს ერთიან საწარმოებლად ბელგიის ამხანაგობას. ეს საქმე აღძრა ხმოსანმა ბ-ნმა ყორღანოვმა, რომელმაც ცალკე წერილი მიართვა ქალაქის მოურავს. ამ წერილში ყორღანოვი ამბობს, რომ მე ვიცი, ბელგიის ამხანაგობასა სურს ქალაქს მოურიგდეს და თითონ იკისროს წარმოება წყლის მილისაო. აი ამხანაგობას, ყორღანოვის აზრით, რა პირობებით უნდა წყლის მილის წარმოების იჯარით აღება: 1) წყლის შემოსავლით ამხანაგობა ისარგებლებს და გასავალსაც კისრულობს 25 წლის განმავალობაში და ამასთან თავის ხარჯით ეცდება წყლის მილები სხვა ადგილებშიაც გაიყვანოს; 2) ამხანაგობა წყალს გაჰყიდის საბჭოს მიერ დანიშნულს ნიხრზედ და ამასთან საბჭოს ყოველს დადგენილს წესს ამ საგნის შესახებ არ გადავა; 3) კისრულობს ახალის მილების ჩაწყობას, თუ ეხლანდელი მილები უვარგისი აღმოჩნდა; 4) ამხანაგობა კისრულობს ქალაქს ყოველ წლივ აძლიოს ის ჯამი ფულისა, რა ჯამიც საჭიროა ქალაქის მიერ ნასესხებ ვალის დასაფარავად; 5) თუ ვინიცობაა მტკვრის წყლის ხმარება მეტად საჭირო აღმოჩნდა, კისრულობს, რომ ამ წყალს დაურიგებს მკვიდრთ დაწმენდილს და ამ ხარჯში ქალაქს არაფერს მოსთხოვს; 6) ქუჩების მორწყვას ვალად იდებს და ამისათვის დღეში 100,000 ვედრო წყალს დაჰხარჯავს, და 7) ამხანაგობა 25 წლის შემდეგ ქალაქს გარდასცემს ყოველსავე მოწყობილებას წყლის მილისას და ახლად გაყვანილს მილებსაც.

⁂ ოლღას ქუჩაზე 18 ნოემბერს უპოვნიათ ახალ დაბადებული მიგდებული ქალიშვილი და გაუგზავნიათ საბებიო ინსტიტუტში.

⁂ 18 ნოემბერს, ღამით, ტფილისის მეათე განყოფილებაში პოლიციის მოხელეთ დაიჭირეს გაპარული ჯარის-კაცი, თევდორე კრივჩენკო, და გაგზავნეს სკომენდანტო გამგეობაში.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი

ლეჩხუმის მაზრა, 6-ს ნოემბერს. ამას წინად ვაცნობეთ ჩვენს მკითხველებს, რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ უკვე მიიღო ნებართვა კრების შედგენისა; აგრეთვე ისიც მოვიხსენიეთ, რომ ამ კრებას საგნად ექნება წოდებრივის საქმის დაბოლოვება, რომლის შესახებ თავად-აზნაურობას განზრახვა ჰქონდა ხელმწიფე იმპერატორისათვის მიემართა. იმ კრებაზედ საზოგადოება უნდა შეთანხმებულიყო და თავიანთი აზრი ერთმანერთისათვის გაეზიარებინათ. ამ თთვის 4-ს კრება კიდევაც შესდგა სოფ. ცაგერში. კანდიდატმა აქაურის თავად-აზნაურობისამ, თ. ახვლედიანმა, გამოუცხადა კრებას საგანი ყრილობისა, და გაიმართა სჯა და ბაასი. რამდენისამე ხნის შემდეგ დადგენილ იქმნა, რომ მაზრამ აირჩიოს ერთი სანდო კაცი და წარგზავნოს დეპუტატად პეტერბურგში სათხოვნელად ხელმწიფე იმპერატორთან, და თუ დეპუტატის გაგზავნა მათგან დამოუკიდებელის მიზეზის გამო შეუძლებელი აღმოჩნდა, მაშინ უნდა გაიგზავნოს წერილობითი თხოვნა. ჯერ-ჯერობით საქმე ასეა და რომელს გზას დავადგებით, არ ვიცით.

ჩვენის მაზრის მემამულეებს დაურიგეს ამ ჟამად მაზრის სამმართველოდამ უწყება, რომლითაც ვალდებულად ხდიან მამულის მეპატრონეთ ორის თთვის განმავალობაში წარადგინონ აღწერა თავიანთ მამულებისა, ე. ი. რამდენი მიწა აქვთ და რა მიწა, მთა, ბარი, ტყე, თუ საძოვარი; რამდენი უვარგისი მიწა აქვთ და რამდენი გამოსაყენებელი. ამ გარემოებამ მეტად დააფიქრა ჩვენი მემამულენი: არც ერთმა მემამულემ არ იცის, თუ რამდენის მამულის პატრონია. მოგეხსენებათ, ლეჩხუმის მაზრაში მამულები არც მთავრობას გაუმიჯნავს და არც თვით მემამულეებს. კანონი-კი თხოულობს, რომ თითოეულმა მემამულემ სწორი ანგარიში წარადგინოს. მემამულე, თუ ამ რიგად არ მოიქცა, პასუხის-გებაში უნდა მიეცეს. მემამულეს, რომელიც იმაზე მეტს აჩვენებს, რაც აქვს, ზომაზე მეტი გარდასახდელი ბაჟი აღარ დაუბრუნდება, თუმცა გამოძიებამ აღმოაჩინოს, რომ ნაკლები მამული აქვს. ხოლო ვინც ნაკლებს მამულს აჩვენებს, იმან ერთი-ორად უნდა გადიხადოს გარდასახადი, თუ მიჯნის წესით აღმოჩნდება, რომ მამული მეტი აქვს. ამ საქმის გამო ძალიან ჩაფიქრებულნი ვართ. მეტი ღონე აღარ არის, შესდგომიან დაახლოვებით აღრიცხვას მამულის რაოდენობისას. მაგრამ დაახლოვებით ნაჩვენებ ზომაში შეცდომა აუცილებელია. ამის გამო აქაურს მემამულეებს განუზრახავთ მიჰმართონ მთავრობას თხოვნით იმას შესახებ, რომ თუ წარდგენილ ანგარიშებში შეცდომა აღმოჩნდება, ჯარიმას ნუ გადაგვახდევინებთო, რადგანაც სწორე ანგარიში საკუთარის მამულებისა არც ჩვენა გვაქვს და არც შესაძლებელია მოკლე ხანში გამოვიანგარიშოთ, ვის რამდენი და სად რა გვაქვსო. ჩვენის აზრით, ურიგო არ იქნებოდა, უფრო გრძელი ვადა დაენიშნათ მემამულეებისათვის.

როგორც იქნა, მიაქციეს ყურადღება ჩვენის მაზრის პირველ დაწყებით სკოლის შენობას, რომელიც უსათუოდ უნდა დანგრეულიყო. ამ შენობის შეკეთება ვაჭრობით აიღო დადიანმა ვაჭარმა ბეროზ ბერუჩოვმა ცხრა ას მანეთად; შენობას რაც შესაკეთებელი აქვს, ყველაფერი უნდა შეაკეთოს. აქ ისე ჰფიქრობენ, რომ ცხრა ასი მანეთი დიდი ფულიაო, და ამ შენობისათვის რომ აქამდის მიექციათ ყურადღება, არც ამის ნახევარი დასჭირდებოდა.

უკველ წელიწადს გვიგონდით ხოლმე, რომ სვანეთის გზებზე მთებში მრავალი ადამიანი იღუპება-თქო. ეხლა ამ გვარის საზიზრის საბუთს იძლევა რიონის მარცხენა მხარეზედ მიმავალი სახელმწიფო გზა. ამ რამდენისამე წლის წინად ამ გზაზე მიმავალს თ. ქ. უ—ნს ნიკორის მირს ტყიდამ კაცის ხელით გადმოშვებულმა ხემ მოუკლა ჯორი; ბედი პატივცემულ თავადისა, რომ ფეხით მიდიოდა, თორემ ისიც თან გაჰყვებოდა ჯორსა. აი კიდევ რა მოხდა ხსენებულს გზაზედ წარსულის თთვის უკანასკნელს რიცხვებში: ორი გლეხი, ცხურავაშვილი და ცხვედიანი, მიდიოდნენ ერთად ქუთაისს.

---

ბულთა და დევნულთა დაიდგა თავსა ზედა შენსა... და რაჲ არს უმშვენიერესს და უდიდებულესს ამისა! ნუ ყოვნი, მეგობარო ჩემო, შეირტყე წელთა შენთა მახვილი მხნეობისა და ძალი წერისა მოეც მკლავთა შენთა და თითთა და შთაიცვ აბჯარი იგი სიმართლისა და განვედ ბრძოლად დრკუთა მათ ზედა და მტაცებელთა და მყვირალთა, განსწავლილთა უუკანასკნელესთთა ხელოვნებითა „ახალ მოდურად“ ბრძოლისათა (არგანებითა, რომელ არს ჯოხებითა, გინა მუშტკრივითა, «ბოკსურად» ცემითა, გინა «ჭორ-მეტყველობითა», რომელ არს «ჭორიკანაობა», და სხ. ამ გვართა ხელოვნებათა)... „ღმერთი მწე შენდა არს: ნუ-ღა გეშინოდეს შენ ბევრეულისაგან ერისა“, აჰა, მეცა შენთანა ვარ-მეთქი, მოვახსენე მეგობარს. თუ გასაჭირში ჩაჰვარდები, გფიცავ, არ დავზოგო თავი ჩემი შენთვის ვიდრე უკანასკნელის სისხლის წვეთამდმდე. თუ კიდევ გეშინის, ფუ შენს კაცობას-მეთქი, ლეჩაქი მაგ ჯაბანს თავს, ლაფი მაგ წვერ-ულვაშს...

ის იყო და ის; ყოყმანს ბოლო მოეღო. გარდავწყვიტეთ და „მოკლე ისტორიას“ ანდერძი ავუგეთ. ვიშოვნეთ ისტორიული ნაწერები ბარათაშვილისა, სამივე რვეული, რომელშიაც აღწერილია საქართველოს ისტორია იმ დრომდის, როდესაც განიყო მრავალ ნაწილად და დამწერილდა სამეფო საქართველოჲსა; გოლოვინის ისტორია ხომ არის «კავკასიის კალენდარში» მოქცეული. დავსხედით, მოვიღეთ თვით ის „მოკლე“ ისტორია ზემოხსენებულის „წინასიტყვაობითურთ“ და შევამოწმეთ ჯერ თ. ბარათაშვილის ისტორიას და აჰა განსაკრთომელი! მეორე თუ მესამე წიგნის გვერდითგანვე იგი „მოკლე“ ისტორია „სრულიად“ ბარათაშვილისას კვალ-კვალობაზე შეუდგა, ფრაზა-ფრაზაზე, სიტყვა-სიტყვაზე, ანბანი-ანბანზე. ვიარეთ, ვიარეთ, ბევრი ვიარეთ, ცოტა ვიარეთ, ცხრა მთა გარდავიარეთ და „ნასკუპი“-კი ვერსად ვნახეთ, სულ იმავ კვალზე წავიდა „იგი მოკლე“ მაგ სრულ ისტორიაზე, „მკვდარი“ იგი სწორედ რომ ზედ ლარიეით დაედო „ცოცხალსა“ ავქსონსა, ცხვირი ცხვირზედ ზედ-გამოეკრა, მკლავი-მკლავზედ, იფიქრეთ, რომ ფრჩხილიც-კი ფრჩხილზე მივიდა... შევკრთით და ერთ-ხმივ წამოვიძახეთ: დიდება საკვირველებათა შენთა, უფალო! რა რიგ დამსგავსებულა „მკვდარი“ „ცოცხალსა“ და „ცოცხალი“ იგი ავქსონი—„განსვენებულსა“ მას ავქსონ-ყოფილსა! სწორედ რომ ცხადი „სასწაული“ იყო. ჩემი ურწმუნო მეგობარიც-კი მოაქცია სარწმუნოებაზე ამ გვარმა თვალ-დასანახმა, ცხოველმა, თავ-ახდილმა სასწაულმა. სწორედ რომ განგება ერია ამ საქმეში!

ნუ დაივიწყებთ, რაც მოგახსენეთ: „ცხრა მთა“ გადავიარეთ-მეთქი... მაგრამ მეათე მთას რომ შევუდექით, შენი მტერი რომ ჩვენ დავიბენით. იგი „გზა ბარათაშვილისა“ დაგვეკარგა, ტყე და ღრიანტელებში დავშთით, მზე ჩავიდა და დაგვიბნელდა, შიშმან და ძრწოლამ მთლად წაგვილო ამ წყვდიადს უდაბნოში, უგზო და ურწყულში, ვაჲ თუ უკან ვერ მოვბრუნდეთ, დავიკარგნეთო. ამ გაჭირვებაში „განსვენებულის“ გოლოვინის ისტორიას დავეკითხეთ გზას, დავწყეთ კითხვა, მაგრამ, თქვენ არ მომიკვდეთ, ნუგეში არ გვეცა, ისევ კლდე-ხევებში ჩაგვაგდო, უგზო-უკვლოდ; სხვა „ცხრა მთაც“ ბევრი გადავიარეთ ამაოდ. უეცრად (სწორეთ რომ მეთოთხმეტე საუკუნემდის რა მივედით) ლანდივით გამოჩნდა ერთი ბილიკი, თითო ორ-ორი სიტყვა ერთმანერთს მოხვდა, მერე მრთელი ფრაზა ზედ გამოეკრა მაგ „მოკლე“ ისტორიის ფრაზაზე, შემდეგ სტრიქონები დაეწყო სტრიქონებზე, გვერდი-გვერდზე დაჯდა, „თავი“-„თავზე“ მივიდა, უკანასკნელი ფეხიც-კი „მოკლეს“ ისტორიისა „მოკლესავე“ გოლოვინის ფეხზე დაესვენა (გოლოვინი-კი არ იყო მოკლე“, არცა ფეხი მისი—ნუ იყოფინ,—არამედ მხოლოდ მისი „ისტორია“ არის მოკლე); ერთის სიტყვით, ორნივე „მოკლენი“ გვამნი, ერთი მკვდრისა გოლოვინისა, ხოლო მეორე „ცოცხალის“ ავქსონისა, ისე დაემგვანენ, როგორც, ვთქვათ, ორი წვეთი წყლისა ერთმანერთს ჰგვანან, ანუ ორნივე თვალნი არ განირჩევიან ურთიერთისაგან, გინა ორნივე ნახევარნი სწორედ გაჭრილის ვაშლისანი, ან თუ ორნი მარგალიტნი ობოლნი...

მაშინ-კი აღმოჩნდა გასაშტერებელი თვალთათვის და გონება მიუწვდომელი, აზრისა მიუგნებელი, მიუხვდომელი „ერთობა“ ანუ ყოვლადი მსგავსება „ვიდრე ორთავე ერთ-ყოფადმდე“. დასასრულ სწორედ ზედ-შუბლზედ დაეწერა „წინასიტყვაობა“, მღაღადებელი: „მე, ამან-და-ამან, ამას-და-ამას ინდიქტიონსა და ქორონიკონსა ხოლო დასაბამითგან სოფლისა და განხორციელებითგან უფლისა ამას-და-ამას წელსა და თთვესა, დღესა და ჟამსა, წამსა და წუთსა შევქმენო ესე „მოკლე“ ისტორია გამოუთქმელითა შრომითა „ჩემითაო“... სადიდებლად ჩემდა და სასოებად ერისა ჩვენისა და კნინღა ყოველთაცა თესლთა კაცთასა“... ბოლოს: „ალლილუა, ალლილუია, ალლილუია, დიდება შენდა ღმერთო, ყოვლისა სრულ მყოფელო!... ამინ და კირიელეისონ!“

ამ ნაირად აღსრულდა ეს გასაოცარი „ქმნილება“ და წარსდგა ქვეყნის წინ „ახალი ესე არსება“ ორთა მკვდართაგან შეზავებული; შეიძრა ქვეყანა და მიეგება ამ „მერე სასწაულსა“ ჩვენის საუკუნისას. ძღვნად მიაქვნდათ ყოველივე ვის რა ებადა: „ოქრო თუ გუნდრუკი“. ეს ოთხი თუ ხუთი წელიწადია, რაც საზოგადოება ჩვენი და მწერლობაცა და თვით საზღვარ გარეშენი მეგაზეთენი სულ ამ ახალ „ქმნილებაზე“ სწერენ მოუსვენებლად... განითქვა სახელი შემოქმედისაცა მისისა ვიდრე კიდედმდე ცისა. გარნა უუმეტესად გასაოცარი და გასაშტერებელი ის არის, რომ ამ „მოკლე“ ისტორიას უშველებელი, მთასავით უზარმაზარი თავმკერდი ადგას „სრულის“ ბარათაშვილისა „მოკლე ფეხებზე“ გოლოვინისაზე, გარნა ეს უკანასკნელნი „მოკლენი ფერხნი“ შორს აბიჯებენ და მარდად მიმომსვლელობენ. პირველ დანახვაზევე შეგეცოდებათ „საწყალი „მოკლე“-ფეხებიანი გოლოვინი, მტვირთველი „მწვრილთა ზედა ფერხთა თვისთა“ უზარმაზარის ბარათაშვილისა, მაგრამ თუ დააკვირდებით გოლოვინის „პაწაწა“ ფერხთა სიმარდეს, მალე დამშვიდდებით.. სასწაულია, მაშ რა ჯანაბაა! რაბამ არიან, უფალო, საკვირველებანი შენნი! აღმოიჩხვე დრკუთა და ენა ბრკუთა, რათა ჰქადაგო სახელი შენი ერსა შორის!

სასჯელნი დათან და აბირონისანი მეწიენეს, თუმცა ცილსა ვწამებდე და შიშთვილი იუდასი ნუცა ამცდების, უკეთუ მზაკვარობით ვიტყოდე! ნუ-ნათობთ ჩემზედან მზე და მთვარე, ნუცა მეცნიან მე ვარსკვლავნი, ცამანცა ნუ მომივლინოს ცვარი და ღრუბელმა წვიმა, უკეთუ არა იყოს მართალი, რასაცა გაუწყებდეთ!...

Доз. цен. Тиф. 19 ноября, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (П. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова.

განცალებიან თუ არა რამდენსამე ვერსის მანძილზე სოფელს მეჯვენას, უეცრად გადმოუშვია ვიღაცას ფერდობიდამ დიდი ხე; ეს დასცემია ამ უბედურ მგზავრებს და ორივე გრძნობა მიხდილი ცხენიანად გადუვრია გზიდამ რიონისაკენ. რამდენისამე ხნის შემდეგ გრძნობა-მიხდილი ცხენდიანი მოსულიერებულა და შემდეგი საშინელი სურათი დაუნახავს: საბრალო გდია მდინარის პირზედ გულაღმა და ზედ აწევს ნახევარი ტანი ცხენისა (ცხენი იმავ წამს გაუპო შუაზედ და ნახევარი ტანი წყალში გადავარდნილიყო). ღონე მიხდილი ცხენდიანი რას ვაი-ვაგლახით ძლივს გამოვართხებულა; მოსულა გონს და გაუგია, რაც დამართოდათ. გახსენებია თავის ამხანაგი, მიუხედ-მოუხედავს გარემო და დაუნახავს, რომ საბრალო ცხურავაშვილი კლდის წვეზედ ჩამოკიდებულა ღვედით. არსად მშველელი, არსად პატრონი. როგორც უთვილა, მისულა ცხენდიანი და დიდის გაჭირვებით ამოუთრევია სრულიად სიცოცხლე მიხდილი ცხურავაშვილი. გზაზედ გასჩენიათ მგზავრები და უპატრონებიათ. ცხურავაშვილი შიიტანეს ცოცხალ-მკვდარი თავის ოჯახში; სული კიდევ უდგას, მაგრამ გრძნობა დაფანტულია და არავინ იცის, მორჩება თუ არა. ცხენდიანი-კი ისე გალახული არ არის, როგორც ცხურავაშვილი.

ჩვენის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თ. ნ. ჩიქოვანი გარდაიცვალა.

ქაიხოსრო გელოვანი

# წვრილი ამბები

— ინგლისის გაზეთები ამბობენ, რომ განზრახვა აქვთ პრინცს ალექსანდრე ბატტენბერგსა და პრინცესა ლუიზას, პრინც უელის ქალს, ერთმანერთზედ გადაწერონ ჯვარით.

— საყვარელი იმარჯვებს. ინგლისის საერო განათლების სამინისტრო შესდგომია იმის განხილვას, რომ მიეცეთ ნება მასწავლებელ ქალებს, ქმარი შეირთონ. ამ საგნის შესახებ სამასწავლებლო რჩევას გადაუწყვეტია: ნება მიეცეთ მასწავლებელ ქალებს ქმარი შეირთონ, ხოლო გათხოვების ნება-რთვა გაუძნელოთ ხოლმე, როცა ითხოვონო.

— დუბლინში ამას წინად ერთს ცხენზე მოთამაშე ქალს, ლილლი როზკის, რომელიც მეტად კაი მოთამაშე იყო და საზოგადოებაც დიდს პატივსა სცემდა, თავი მოუკლავს ცხენის გულისათვის. ამ ცხენს „Blanco“-ზედ როზკის სახელი მოეხვეჭნა. „Blanco“ ამას წინად ავად გამხდარა, მოთამაშე ქალი თურმე დღე-და-ღამე თავს ევლებოდა და, როცა ცხენი მომკვდარა, როზკისაც დარდის გამო თავი მოუკლავს დამბაჩით.

— სოფ. ჟიგიურანდში, დორდონშია (საფრანგეთში), ამას წინად შემდეგი საშინელი ავაზაკობა მომხდარა: მამას თავისი მახინჯი შვილი ჩამოუხრჩვია ხის სულ ყველაზედ მაღალს ტოტზედ, თავის სახლის ახლო. შვილის მკვლელი მამა დაუპატიმრებიათ.

— ფლორენციის ერთს სასტუმროში უმსახურნია ასასად ვიღაც სალვადორ ჩეკმის, რომელიც ზამთარში და ზაფხულში ყოველთვის ერთსა და იმავე პალტოს ატარებდა თურმე. ჩეკმისი ამას წინად გარდაცვლილა და თავისი პალტო თავის ძმას-წულისათვის უანდერძნია. ძმისწულს მასხარად აგდება ჰგონებია გარდაცვალებულის მხრივ, გაჯავრებულა და იქავე დაუწყვია პალტოს ლუგმა-ლუგმად გლეჯა. წარმოიდგინეთ იმისი გაკვირვება, როცა სარჩულის ქვეშიდგან გამოვარდნილა უშველებელი პაკეთი. ამ პაკეთში 75 ბანკის ბილეთი დებულა 500—500 მანათიანი თითო, სულ 32,500 მან.

— საკვირველი ამბავი. ამას წინად რამინს ახლო, შუა იტალიაში, შემდეგი უბედური ამბავი მომხდარა. ერთი მემამულეს ცოლი ბუხართან იჯდა, ღიღინებდა, თან თავის სამის თვის ბავშვს მუმუს აწოვებდა და თან გახშმისათვის წვენსა ხარშავდა. უეცრად თურმე დადუმდა ეს დედაკაცი, გაქვავებულსავით დარჩა, ხელები დაუდუნდა და თავი გულზე ჩამოაგდო. უმაწვილს ქალს უეცრად წვეთი დაეცა. რა თქმა უნდა, უმაწვილი ვეღარ შეიმაგრა, ბავშვი გადაუვარდა მუხლებიდგან და გაჩაღებულს მაყალში ჩავარდა და დაიწვა. როცა მუშაობიდგან დაბრუნდა ამ ქალის ქმარი, ორივე მკვდარი ნახა თურმე.

— თეირნიდგან იწერებიან, რომ ინგლისის რწმუნებულმა ნიკოლსონმა მიუყვანა სპარსეთის შაჰს სპილო, რომელიც ინდოეთის მთავრობას გაუგზავნია საჩუქრად. ეს სპილო მორთული ყოფილა ხავარით, რომელიც მოქარგული იყო თურმე ოქროთი. ეს ხავარი რამდენსამე ათას სპარსეთის ბაჯაღლოდა ღირებულა. როცა სპილო ინგლისის საელჩოდგან შაჰის სასახლესთან მიჰყავდათ, ხალხი დიდის ამბით ეგებებოდა. როცა ნიკოლსონი შაჰთან მისულა და სპილო მიუყვანია, შემდეგი სიტყვა წარმოუთქვამს.

„თქვენო უდიდებულესობავ, ინდოეთის ვიცე-კოროლმა მომანდო გამოგიცხადოთ მის მიერ თქვენდამი უმაღლესი პატივის-ცემა. გთხოვთ მიიღოთ იმისა და ინდოეთის მთავრობისაგან ეს ბუნებითი ინდოეთის ცხოველი. ვიცე-კოროლსა და მთავრობას ინდოეთისას იმედი აქვთ, რომ ამ სპილოს თქვენს ზოოლოგიურს ბაღში გამოსაჩენი ადგილი ეჭირება. ამ ამბავმა შემთხვევა მისცა ვიცე-კონსულსა და მთავრობას, გამოგიცხადონ თავიანთი გულ-წრფელი სურვილი, რომ თქვენი უდიდებულესობა კიდევ მრავალ ჟამიერ სტკბებოდეს ბედნიერებითა და კეთილდღეობით და რომ ჩვენი მეზობელი და მეგობარი სპარსეთი დღითი-დღე განდიდდეს ძლიერებითა და სახელით. მთავრობა მისის უდიდებულესობის დედოფალის-იმპერატრიცისა ამასთან თავის მხრივ იმის მსურველია, რომ უფრო განმტკიცდეს და განძლიერდეს ის მეგობრული დამოკიდებულება, რომელიც აქამდე კეთილად სუფევს სპარსეთისა და ინგლისის შორის“.

მის უდიდებულესობას ნასრ-ედდინშაჰს აი რა უთქვამს ამ სიტყვის პასუხად: „მივიღებთ დიდის სიამოვნებით ამ უმშვენიერესს საჩუქარს ლორდისას, ინდოეთის ვიცე-კოროლისას. ამ საჩუქარს ჩვენს თვალში მით უფრო დიდი ფასი და მნიშვნელობა ეძლევა, რომ ამ ძღვენს თან მოჰყვა გულ-წრფელის მეგობრობას და თანხმობის განმამტკიცებელი სიტყვები, იმ გულ-წრფელის მეგობრობისა და თანხმობისა, რომელიც ჩვენს შორის არსებობს“.

# დეპეშა

19 ნოემბერი

ხარკოვი. მეცამეტე ყრილობა მადნეულობისა მრეწველთა შეიკრიბება მომავალს წელს როსტოვში, რომელიც დონის მდინარეზე მდებარეობს.

პარიჟი. პროვინცია გრევის მომხრეა და ფერრის წინააღმდეგი.

გრაფმა პარიჟისამ მოიხმო ორლეანელი პრინცები. ჰერცოგი შარტრისა საჩქაროდ მიდის ევვიპტიდგან ლონდონს, სადაც ჰერცოგი ომალისა უკვე მისულა.

პეტერბურგის ბირჟა, 17-ს ნოემბერს.

ფ ა ს ე ბ ი:

| | მიცემულისა | გამოცემულისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 9 2 |
| ტამოჟნის კუპონები | — » | — » | 180¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — » | — » | 1 32 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგების ბილეთი | — » | — » | 278 |
| — მეორისა | — » | — » | 247 |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა | — » | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა | — » | — » | — » |
| ტფილისის ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — » | — » | — » |

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7395.

ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

ნოემბერი 30 დღით არის

20 დღე პარასკევი. ღირსისა გრიგოლისა. კათოლ. წმ. აღმსაარ. ფელიქს გალისელისა. სომეხ. ნახატონაკი. მუსულ. მე-18 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 7—8, ჩადის 4—30. მთვარე 18 დღისაა.

21 დღე შაბათი. ტაძრად მიყვანა წმ. ღვთის-მშობლისა მარიამისა. ესევე ფრანგთა და სომეხთათვისაც. მუსულ. მე-19 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 7—9, ჩადის 4—30. მთვარე 19 დღისაა.

22 დღე კვირა. წმ. ფილიმონ მოციქულისა. კათოლ. ქალწ.-მოწ. ცეცილიასი. მუსულ. მე-20 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 7—10, ჩადის 4—30. მთვარე 20 დღისაა.

23 დღე ორშაბათი. წმ. ეპისკ. ამფილოქესი კათოლ. წმ.-მოწ. პაპა კლიმენტისა. სომხ. წმ. ქალწ. იულიანასი და ვასილიასი. მუსულ. მე-21 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წესდება უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა, 1871 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 7—11, ჩადის 4—30. მთვარე 21 დღისაა.

24 დღე ხამშაბათი. დიდის ქალწ.-მოწ. ეკატერინასა და ავგუსტასი დედოფ. კათოლ. წ. იოანესი. სომეხ. წმ. ლუკიანე მღვდელისა და სხვათა. მუსულ. მე-22 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—51. ტფილისში მზე ამოდის 7—12, ჩადის 4—30. მთვარე 22 დღისაა.

25 დღე ოთხშაბათი. წმ. კლიმენტისა. კათოლ. წმ. ქალწ.-მოწ. ეკატერინესი. სომხ. მარხვაა. მუსულ. მე-23 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—51. ტფილისში მზე ამოდის 7—13, ჩადის 4—30. მთვარე 23 დღისაა.

26 დღე ხუთშაბათი. წმ. ავლიპი მესვეტისა. კათოლ. წმ. ეპის. აღმსაარ. გრიგოლ საკვირველ-მოქმედისა. სომეხ. წმ. კლიმენტისა და ბაგრატ ეპისკოპოსისა. მუსულ. მე-24 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—52. ტფილისში მზე ამოდის 7—14, ჩადის 4—30. მთვარე 24 დღისაა.

27 დღე პარასკევი. მოწ. იაკობ სპარსელისა. სომეხ. ნახატონაკი. მუსულ. მე-25 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—52. ტფილისში მზე ამოდის 7—15, ჩადის 4—30. მთვარე 25 დღისაა.

28 დღე შაბათი. წმ. მოწ. სტეფანესი, ვასილისა და სხვათა. კათოლ. სალამოს ღვთის-მსახურება წმ. ანდრია მოციქულისა. სომეხ. წმ. მოციქულ და პირველ განმანათლებელ სომეხთა თადეოსისა და ბართლომესი. მუსულ. მე-26 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—53. ტფილისში მზე ამოდის 7—16, ჩადის 4—30. მთვარე 26 დღისაა.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე.

| | | | |
|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | | 3 | » |
| » 2 | » | 2½ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | | 5 | » |
| » » 2— | | 3½ | » |
| » » 3 | » | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | | |
| 1-ლის ხარისხისა | | 5 | » |
| მე-2 ხარისხისა | | 4 | » |
| მე-3 — | | » | » |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 7 | » |
| » 2 | » | 6 | » |
| სუკი | | 13 | » |
| ძროხის ხორცი | | 7 | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | | 7 | » |
| » 2 | » | 6 | » |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტოსიდას წყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

კერძო განცხადებანი

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარია დაწიგნთ-საცავი ღიაა ყოველ-დღე 11—2 საათამდე შუა-დღის უკან; ხოლო კვირა-უქმეობით 12—1 საათამდე.


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ი ვ ე რ ი ა“

1888 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. | 6 | თვით | 6 მ. — კ. |
| 11 | „ | 9 „ 50 » | 5 | „ | 5 „ 25 » |
| 10 | „ | 8 „ 75 » | 4 | „ | 4 „ 75 » |
| 9 | „ | 8 „ — » | 3 | „ | 3 „ 50 » |
| 8 | „ | 7 „ 25 » | 2 | „ | 2 „ 75 » |
| 7 | „ | 6 „ 50 » | 1 | „ | 1 „ 50 » |

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

*Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.*

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვეის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვეის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დახაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.


Дов. цен. Тиф. 19 ноября, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.